GULF CLUB

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ [შემდგომში „გალფი“] მის ერთგულ მომხმარებელს სთავაზობს GULF CLUB -ის წევრობას. „გალფ კლუბის წევრობის“ მსურველს, კომპანიის მიერ დანერგილი წესების დაცვის შესაბამისად, გადაეცემა GULF CLUB–ის ლოიალობის ბარათი [შემდგომში „ბარათი“], Gulf Club -ის ბარათის მომხმარებლის სახელზე იდენტიფიცირების შემდეგ, მომხმარებლი ხდება „გალფ კლუბის წევრი“ [შემდგომში „გალფ კლუბის წევრი“].

„გალფ კლუბის წევრს“ შესაძლებლობა ეძლევა ისარგებლოს „გალფის“ სხვადასხვა შეთავაზებით, მათ შორის ფასდაკლებით საწვავის შეძენისას და ქულების დაგროვებითი სისტემით, „გალფის“ ავტოგასამართ სადგურებსა და თვითმომსახურების ავტოგასამართ სადგურებზე; ასევე, „გალფის“ ავტოგასამართ სადგურებზე მდებარე „გალფ სთორის“ მაღაზიათა ქსელში პროდუქციის შეძენისას.

GULF CLUB–ის ლოიალობის ბარათის გაცემისა და სარგებლობის წესების [შემდგომში „წესები“] შემუშავების მიზანს წარმოადგენს „გალფის“ მომხმარებელთან უკუკავშირის დამყარება. ერთგული მომხმარებლისათვის [„გალფ კლუბის წევრისათვის“] დამატებითი სარგებლის შეთავაზება, „გალფის“ პროდუქტების შესაძენად მომხმარებლებისათვის „გალფ კლუბის წევრებისათვის“ დამატებითი მოტივაციის შექმნა, კომპანიის გაყიდვების ზრდის სტიმულირება, მომხმარებელთა კმაყოფილების დონის ამაღლება და მარკეტინგული აქტივობების მეშვეობით კომპანიის საქმიანობის პოპულარიზაცია;

ლოიალობის ბარათზე დაგროვებული/გახარჯული ქულების შესახებ დეტალური ინფორმაცია „გალფ კლუბის წევრისათვის“ ხელმისაწვდომი იქნება, როგორც ვებგვერდის www.Gulf.ge, ასევე Gulf Club-ის მობილურ აპლიკაციის საშუალებით და საინფორმაციო SMS-ის შეტყობინების სახით.

GULF CLUB -ის ბარათის გაცემის/აღების წესი

„გალფ კლუბის წევრობა“ და შესაბამისად, Gulf Club-ის ბარათის აღება შეუძლია ნებისმიერ სრულწლოვან მოქალაქეს [როგორც რეზიდენტს, ასევე არარეზიდენტ პირს].

„გალფ კლუბის წევრობის“ მსურველმა, Gulf Club-ის ბარათის მისაღებად, უნდა მიმართოს „გალფის“ სასაქონლო ნიშნით ბრენდირებულ ნებისმიერ ავტოგასამართ სადგურს, სადაც უნდა გაეცნოს და შეავსოს სპეციალური საინფორმაციო ანკეტა, თანხმობის შემთხვევაში კი დაადასტუროს იგი ხელმოწერით.

საინფორმაციო ანკეტა მოიცავს მომხმარებლის შემდეგ ინფორმაციას:

- სახელი, გვარი - [აუცილებელად შესავსები ველი]
- პირადი ნომერი - [აუცილებელად შესავსები ველი]
- დაბადების თარიღი - [აუცილებელად შესავსები ველი]
- მობილური ტელეფონის ნომერი - [აუცილებელად შესავსები ველი]
- ელ. ფოსტა - [სურვილისამებრ შესავსები ველი]
- მისამართი - [სურვილისამებრ შესავსები ველი]
- სქესი - [სურვილისამებრ შესავსები ველი]
- მოქალაქეობა - [სურვილისამებრ შესავსები ველი]

„გალფ კლუბის წევრობა“, შესაბამისად Gulf Club-ის ბარათის მიღება, ასევე შესაძლებელია „გალფის“ ოფიციალური ვებგვერდზე „ბარათის“ შეკვეთის გზით. სადაც, ასევე სავალდებულოა მომხმარებლის ნების მკაფიო გამოხატვა, პერსონალური ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებით და წინასწარი თანხმობის გაცხადება სპეციალური ღილაკის მეშვეობით.

ერთ მომხმარებელზე გაიცემა მხოლოდ ერთი ბარათი.

Gulf Club-ის ბარათი ფასიანია და მისი ღირებულება შეადგენს 2 [ორი] ლარს.

GULF CLUB -ის ბარათით სარგებლობის პირობები:

Gulf Club-ის ბარათის მეშვეობით „გალფის” ლოგოტიპით ბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებზე საწვავის შეძენისას მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა ისარგებლოს კონკრეტულ დღეს არსებული ფასდაკლებით [ფასდაკლების კონკრეტულ ოდენობას ადგენს კომპანია/გალფი მისი გადაწყვეტილებით და იგი არის ცვალებადი].

GULF CLUB ის ბარათზე ქულების დაგროვება ხდება შემდეგი პრინციპით:

როგორც „გალფის” ლოგოტიპით ბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებზე საწვავის შეძენისას, ასევე „გალფ სთორის“ მაღაზიათა ქსელში პროდუქციის შეძენისას ყოველ დახარჯულ ერთ ლარზე, მომხმარებელს მის კუთვნილ Gulf Club-ის ლოიალობის „ბარათზე“ დაერიცხება სასაჩუქრე ქულა [სასაჩუქრე ქულების კონკრეტულ ოდენობას ადგენს კომპანია/გალფი მისი გადაწყვეტილებით და იგი არის ცვალებადი]. შესაძლოა ქულები არ დაგროვდეს კონკრეტული პროდუქციის შეძენისას [კომპანიის შიდა გადაწყვეტილების თანახმად].

GULF CLUB -ის ბარათზე დაგროვებული ქულების განაღდება/გამოყენება შესაძლებელია:

მხოლოდ ბარათის მფლობელის მიერ, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის საფუძველზე. მომხმარებელს/წევრს შესაძლებლობა ეძლევა მის მიერ დაგროვებული ქულები გაანაღდოს/გადაცვალოს „გალფის“ თვითმომსახურების ავტოგასამართ სადგურებზე საწვავის შეძენისას. მობილური აპლიკაციის საშუალებით QR კოდის დასკანერებით. ასევე „გალფ სთორის“ მაღაზიათა ქსელში სხვადასხვა პროდუქციის შეძენისას [კომპანიის გადაწყვეტილებით შესაძლოა დაგროვებული ქულების სანაცვლოდ არ გაიცეს კონკრეტული პროდუქცია].

ამასთან, მხოლოდ „გალფ კლუბის წევრებს“ ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ „გალფის“ მიერ წამოწყებულ მარკეტინგულ აქციასა თუ გათამაშებებში. გადაცვალონ დაგროვებული ქულები ფასდაკლების ვაჩერებში და სხვა.

GULF CLUB -ის ბარათის სარგებლობის ვადა

იმ შემთხვევაში, თუ ყოველ, უწყვეტ ერთწლიან პერიოდში, საწვავი მინიმუმ ერთხელ მაინც არ იქნება შეძენილი „გალფ კლუბის“ ბარათის გამოყენებით, ასეთი ბარათი ავტომატურად ჩაითვლება არააქტიურად და მასზე დაგროვებული ქულები განულდება. აღნიშნულის თაობაზე, „ბარათის“ მფლობელი ორი კვირით ადრე მიიღებს შეხსენებითი სახის საინფორმაციო SMS შეტყობინებას, პროგრამაში დარეგისტრირებულ მის ტელეფონის ნომერზე.

Gulf Club-ის ბარათი ვადიანია და მისი მოქმედების ვადა შეადგენს 3 [სამი] წელს. ვადის გასვლის დროს ბარათი ხდება არააქტიური და მასზე დაგროვებული ქულები განულდება. ქულების შესანარჩუნებლად ბარათის აღდგენა/ჩანაცვლება უნდა მოხდეს ვადის გასვლამდე. აღნიშნულის თაობაზე, მომხმარებელს ორი კვირით ადრე ეგზავნება შეხსენებითი სახის საინფორმაციო SMS შეტყობინება, პროგრამაში დარეგისტრირებულ მის ტელეფონის ნომერზე, ასევე ბარათის ვადის შესახებ ინფორმაცია განთავსებული იქნება „გალფის“ საიტზე და მობილურ აპლიკაციაში.

GULF CLUB-ის წევრების პერსონალური მონაცემების დაცვა;

GULF CLUB-ის ბარათის აღებისას, საინფორმაციო ანკეტაზე ხელმოწერით მომხმარებელი ადასტურებს, რომ:

- „გალფი“ უფლებამოსილია დაამუშავოს მისი [მომხმარებლის] პერსონალური მონაცემები, „გალფის“ მიერ მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევის კომპანიის ინტერესების დაცვის, პირდაპირი მარკეტინგის ან/და სხვა კანონიერი მიზნებისათვის.
- „გალფის“ მიერ განხორციელდება შემდეგი პერსონალური მონაცემების დამუშავება; „მომხმარებლის“ პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, სქესი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, სატრანსპორტო საშუალების მარკა, მოდელი, გამოშვების თარიღი, გარბენი, სახელმწიფო ნომერი, ვინ კოდი, ძრავის ტიპი, ძრავის მოცულობა, ძრავის სერიული ნომერი.
- „გალფს“ ანიჭებს უფლებამოსილებას მისი [მომხმარებლის] პერსონალური მონაცემები გადასცეს მესამე პირ(ებ)ს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, ასევე, გადასცეს „კომპანიის“ შვილობილ ან მასთან აფილირებულ კომპანიებს, „კომპანიის“ მიერ „მომხმარებლისთვის“ მომსახურების გაწევის/ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, „კომპანიის“ ინტერესების დაცვის, პირდაპირი მარკეტინგის ან/და სხვა კანონიერი მიზნებისთვის.

- ინფორმირებულია „გალფისაგან“ პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვის, მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის, წაშლის, განადგურების ან მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის შესახებ.

კომუნიკაცია

- Gulf Club-ის საინფორმაციო ანკეტაზე ხელმოწერით მომხმარებელი ადასტურებს კომპანიის/გალფის უფლებამოსილებას, რომ შესაძლებელია მასთან კომუნიკაცია განხრციელდეს SMS შეტყობინების, ელექტრონული ფოსტის ან/და სატელეფონო ზარის მეშვეობით.
- „კომპანია“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეიტანოს ცვლილება Gulf Club-ის წესებსა და პირობებში, ხოლო ცვლილების შეტანის შესახებ ინფორმაცია განათავსოს „კომპანიის“ ოფიციალურ ვებგვერდსა ან/და მობილურ აპლიკაციაში.
- მომხმარებელს/წევრს უფლება აქვს, კომპანიას ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა გამოყენების შეწყვეტა მარკეტინგული მიზნებისათვის, ამისათვის სპეციალურად განსაზღვრულ ნომერზე შეტყობინების გაგზავნის გზით (NO SMS).
- ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მომხმარებელს/წევრს შესაძლებლობა აქვს მიმართოს კომპანიის ცხელ ხაზს *0007.

ასევე:

„გალფ კლუბის“ ქულების დაგროვება შესაძლებელია კორპორატიული მომხმარებლების მიერ „გალფ ქარდით“ [სპეციალური ბიზნეს/ლოიალურობის ბარათი] განხორციელებული ტრანზაქციების დროს. ქულების დაგროვების პირობა განსხვავებული და ცვალებადია. კორპორატიულ მომხმარებელს [კომპანია/იურიდიულ პირი/ფიზიკური პირი] მთავარ ანგარიშზე უგროვდება ქულები.

მომხმარებელემა დაგროვებული ქულები უნდა გადარიცხოს მთვარი ანგარიშიდან „გალფ კლუბის“ ბარათზე. რის საფუძველზეც, მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება ისარგებლოს „გალფ კლუბის“ სტანდარტული წესებითა და პირობებით.

GULF CLUB

"Sun Petroleum Georgia" LLC [hereinafter - "Gulf"] offers membership of GULF CLUB to its loyal customers. GULF CLUB loyalty card [hereinafter – the "Card"] shall be given to the person willing to become a member of Gulf Club in accordance with the rules introduced by the Company. After identification of the Gulf Club card on customer's name, the customer becomes a member of the Gulf Club [hereinafter – " Gulf Club member"].

Member of Gulf Club has the opportunity to take advantage of various Gulf offers, including discounts when purchasing fuel and points accumulation system at petrol stations and self-service petrol stations of Gulf, as well as when purchasing products in Gulf Stores chain of stores located at petrol stations of Gulf.

The purpose of developing the rules for issuing and using the GULF CLUB loyalty card [hereinafter - the "Rules"] is to establish feedback with Gulf customer, to offer additional benefits to loyal customer [for Gulf Club Member], to create additional motivation for customers (Gulf Club members) to purchase Gulf products, to stimulate the company's sales growth, to raise the level of customer satisfaction and promote the company's business through marketing activities;

Detailed information about the accumulated/spent points on the loyalty card shall be available to the Gulf Club member on the website - www.Gulf.ge, as well as through the Gulf Club mobile application and in the form of an informational SMS message.

The Rule for Issuance/ Getting GULF CLUB Card

Membership of the Gulf Club and, therefore, a Gulf Club card can be obtained by any adult citizen [both resident and non-resident].

In order to obtain a Gulf Club card, a person wishing to become a Gulf Club member must address to any petrol station branded with Gulf trademark, where he/she must familiarize with and fill out a special information form, and in case of agreement, confirm it by signing.

The information form includes the following information of the customer:

- First name, last name - [mandatory field]
- Personal number - [mandatory field]
- Date of birth - [mandatory field]
- Mobile phone number - [mandatory field]
- Email - [optional field]

- Address - [optional field]
- Gender - [optional field]
- Citizenship - [optional field]

Gulf Club Membership, i.e. obtaining a Gulf Club card is also possible by ordering a card on the official website of Gulf, where it is also mandatory to clearly express the will of the customer with regard to processing the personal information and to declare the prior consent through a special button.

Only one card is issued per customer.

Gulf Club card requires payment and its price is 2 [two] GEL.

Conditions for Using the GULF CLUB card:

When purchasing fuel using Gulf Club card at petrol stations branded with Gulf logo, the customer is given the opportunity to take advantage of the discount available on a particular day [the specific amount of the discount is determined by the Company/Gulf at its discretion and it is variable].

Points are accumulated on the GULF CLUB card according to the following principle:

When purchasing fuel at petrol stations branded with Gulf logo, as well as when purchasing products in Gulf Stores chain of stores, the customer will be credited with a gift point on his/her Gulf Club loyalty card [the specific amount of gift points is determined by the Company/Gulf at its discretion and it is variable] for every 1 GEL spent. Points may not be accumulated when purchasing certain products [on the basis of Company decision].

Points accumulated on GULF CLUB card can be redeemed/used:

Only upon presentation of an identity card by the card holder, the customer/member shall be given the opportunity to redeem/exchange the points accumulated by him/her at Gulf self-service petrol stations when purchasing fuel by scanning the QR code through the mobile application, as well as when purchasing various products in Gulf Stores Chain of stores [according to the company's decision, specific products may not be given in exchange for accumulated points].

In addition, only Gulf Club members are given a unique opportunity to participate in marketing promotions and draw games initiated by Gulf, to exchange accumulated points for discount vouchers etc.

Expiry date of GULF CLUB card

In the event that fuel is not purchased at least once in each continuous one-year period using Gulf Club card, such card will automatically be considered inactive and the points accumulated on it will be annuled. Regarding the aforementioned, the owner of the card will receive a reminder informational SMS message two weeks earlier to his/her phone number registered in the program.

Gulf Club card is valid for 3 [three] years. At the end of the term, the card becomes inactive and the points accumulated on it shall be annuled. Card must be restored/replaced before expiration to retain points. In this regard, the customer shall be sent a reminder informational SMS message two weeks earlier to his/her phone number registered in the program. The information about the card's expiration date will also be posted on Gulf website and mobile application.

Protection of Personal Data of GULF CLUB members;

When getting a GULF CLUB card, by signing the information form, the customer confirms that:

- Gulf is authorized to process his/her [customer's] personal data to secure interests of the company while providing services to the customer by Gulf and for direct marketing or/and other legal purposes.
- The following personal data will be processed by Gulf: personal number, date of birth, gender, address, contact phone number, email address of the customer, information about the vehicle owned by him/her, namely, make, model, manufacturing date, mileage, state number, VIN code, Engine type, engine capacity, engine serial number of the vehicle.
- Grants "Gulf" the authority to transfer his/her [customer's] personal data to third party(ies) in case of existence of prerequisites stipulated by the legislation of Georgia, as well as to transfer them to the subsidiaries or affiliates of the Company for fulfillment of obligations assumed by the Company under the Agreement on Rendering Services by the Company to the Customer, securing the interests of the Company, direct marketing or/and other legal purposes.
- Is informed by Gulf about request for information on processing the personal data, correcting, updating, adding, blocking, deleting, destroying the data or termination of data processing.

Communication

- By signing Gulf Club information form, the customer confirms the Company's/Gulf's authority to communicate with him/her via SMS message, e-mail or/and phone call.
- The Company is authorized at any time, at its own discretion, to make amendments to the terms and conditions of the Gulf Club, and to post information about the amendment on the Company's official website or/and mobile application.
- The customer/member has the right to request the Company at any time to stop using his/her data for marketing purposes by sending a message to a specially designated number (NO SMS).
- The customer/member can contact the company's hotline *0007 for any questions.

Also:

Accumulation of Gulf Club points is possible during transactions made by corporate customers using Gulf Card [Special Business/Loyalty card]. The conditions for accumulating points are different and variable. Points are credited to the Corporate customer's [company's/legal entity's/individual person's] main account.

The customer must transfer the accumulated points from the main account to the Gulf Club card based on which, the customer will have the opportunity to take advantage of standard rules and conditions of the Gulf Club.